აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

№ 62

ქ. ქუთაისი **21 დეკემბერი 2020 წ.**

„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

1. დამტკიცდეს „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში წარმოდგენილი სახით.
   /ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში თან ერთვის/
2. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის ანგარიში

2020 წელი, ყველასათვის ცნობილი მიზეზების გამო, ურთულესი პერიოდი იყო ზოგადად მსოფლიოსათვის და, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისათვის. ჯერ კიდევ 2020 წლის დასაწყისში, როდესაც მსოფლიოში გამოჩენილი იყო კორონავირუსული ინფექცია (შესაბამისი საფრთხეებით), ალბათ ვერავინ იფიქრებდა პანდემიის იმ მასშტაბებზე, რომელიც მოგვიანებით მსოფლიოს დაატყდა თავს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ადამიანები, სახელმწიფოები და ზოგადად მსოფლიო უძლურია თავიდან აიცილოს მსგავსი ტიპის გამოწვევები. პანდემიამ შეცვალა ცხოვრების სტილი, ადამიანები, საზოგადოება, გარემო, ცხოვრების წესები. სახელმწიფოებს მოუხდათ უამრავი არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება და შემზღუდავი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით. ცხოვრება და საქმიანობა გადავიდა ონლაინ სივრცეში. ყველა დაწესებულებას მოუხდა ადაპტირება ონლაინ ცხოვრებასთან. მათ შორის, ბუნებრივია, გამონაკლისი არც საუნივერსიტეტო დაწესებულებები ყოფილან.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის 2020 წელი დაიწყო მშვიდ გარემოში. იანვრის თვეში და თებერვლის პირველ ნახევარში ძირითადად დასრულდა საგამოცდო პერიოდი და მიმდინარეობდა მზადება მომდევნო საგაზაფხულო სემესტრისათვის. ამავდროულად, 2020 წლის იანვარში, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,ბიუჯეტის შედგენის წესის“ შესაბამისად, განხორციელდა ბიუჯეტის პროექტის მომზადება და დამტკიცება წარმომადგენლობით საბჭოზე. მოგეხსენებათ, რომ 2020 წელს დაიგეგმა ფაკულტეტების შემდგომი ფინანსური დამოუკიდებლობის ზრდა, რისი დასტურიც გახლდათ ფაკულტეტების მხრიდან ხარჯებისა და შემოსავლების განსაზღვრა და შესაბამისი ბიუჯეტების წარმოდგენა. უნდა ითქვას, რომ ეს იყო პირველი მცდელობა ინდივიდუალურად დაგვეთვალა ფაკულტეტების შემოსავლები შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მათ შორის შემოსავალი სტუდენტ-კრედიტის მიხედვით, შემოსავალი ადამიანური და მატერიალური რესურსების კომერციალიზაციიდან, სხვადასხვა კურსებიდან და სწავლებებიდან მისაღები სავარაუდო შემოსავალი და ა.შ. ამავდროულად, დაითვალა მათი მხრიდან ხარჯების ის მოცულობა, რაც საჭირო იყო ფაკულტეტის საჭიროებებისათვის. ბუნებრივია, დაგეგმვისას

ნაწილი ფაკულტეტებისა ფინანსურად პროფიციტული გახლდათ, ნაწილი დეფიციტური. დეფიციტური ფაკულტეტების საბჭოების მხრიდან ბიუჯეტების წარმოდგენისას დასაბუთდა და დაისახა დეფიციტის შემცირების გზები, შემოსავლის ზრდისა და ხარჯების ოპტიმიზაციის პერსპექტივები. მოლოდინები მართლაც ოპტიმისტური გახლდათ, როგორც ფაკულტეტების, ასევე ადმინისტრაციის მხრიდან. თუმცა ბიუჯეტის დამტკიცებიდან ძალიან მალე სხვა რეალობაში აღმოვჩნდით.

2020 წლის თებერვლის ბოლოს ქვეყანაში დაფიქსირებულმა კორონავირუსული ინფექციის შემთხვევებმა და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეგულაციების შემოღებამ უნივერსიტეტი გადაიყვანა ფუნქციონირების ახალ ეტაპზე, რაც, პირველ რიგში, გულისხმობდა პროცესების ონლაინ წარმართვას, მეორეს მხრივ, დაწესებულებაში სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. საწყის ეტაპზე უნივერსიტეტში ორი კვირით შეჩერდა სასწავლო პროცესი, ხოლო უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალათ სადეზინფექციო, სანიტარული სამუშაოების წარმოება, დინსტანცირების საკითხების დარეგულირება აუდიტორიებსა და ღია სივრცეებში, ნაკადების კონტროლი, თანამშრომელთა მობილობის შემცირება, საჭიროების გათვალისწინებით, საუნივერსიტეტო სივრცეში და ა.შ. 2020 წლის მიმდინარეობისას, მოგეხსენებათ, სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სიმკაცრის რეგულაციები და შეზღუდვები იყო დაწესებული, რისი გათვალისწინებითაც ხდებოდა ძირითადად პროცესების ონლაინ წარმართვა, ხოლო აუცილებელი საჭიროებებისათვის საუნივერსიტეტო სივრცის ადაპტირება და გამოყენება. უნივერსიტეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაწესებულებამ გონივრულ ვადაში შეძლო ადაპტირება ელექტრონულ ონლაინ პლატფორმასთან და სასწავლო პროცესის Microsoft Teams-ში დანერგვა. ნიშანდობლივია, რომ უნივერსიტეტი უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს Microsoft-თან და ყოველწლიურად ყიდულობს შესაბამის ლიცენზიებსა და პროგრამულ პაკეტებს, რამაც, ბუნებრივია, ხელი შეუწყო შესაბამისი ონლაინ პროგრამების დაუყოვნებლივ დანერგვა-განხორციელებას.

კრიზისულ პერიოდში, სასწავლო პროცესთან ერთად, უმნიშვნელოვანესი გახლდათ ფინანსური პროცესის სწორად წარმართვა და პანდემიის პირობებში შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმალური მართვა ფინანსური პრობლემების თავიდან ასაცილებლად. პანდემიის პირობებში თანდათან ნათელი გახდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ფაკულტეტების მხრიდან დაგეგმილი ბიუჯეტების ინდივიდუალური ადმინისტრირება, რასაც, ბუნებრივია, რეალური, ობიექტური მიზეზები ჰქონდა. პირველ რიგში, პანდემიის

პირობებში ფაკულტეტებს არ ჰქონდათ სრულყოფილი შესაძლებლობა დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის, რაც მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე უნდა ასახულიყო. ამასთან, კრიზისული მდგომარეობა, რეგულაციების დაწესება, პანდემიიდან გამომდინარე ბევრი სფეროს შეჩერება, სამუშაო ადგილების დაკარგვა, თავის მხრივ აისახა მოსახლეობის ფინანსურ შესაძლებლობებზე და სტუდენტების მხრიდან სწავლის საფასურის გადახდის უნარიანობაზე. პანდემიიდან გამოწვეული რეალობის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მხრიდან დაიგეგმა და გატარდა შემდეგი შემხვედრი ღონისძიებები:

- **მომზადდა და წარმომადგენლობით საბჭოზე დამტკიცებულ იქნა ,,კრიზისული ბიუჯეტი".**
- **შემუშავდა 2020 წლისათვის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის ვადები.**
- **განხორციელდა სტუდენტთა მხარდამჭერი პროგრამები (მათ შორის სოციალური).**

1. <u>**მომზადდა და წარმომადგენლობით საბჭოზე დამტკიცებულ იქნა ,,კრიზისული ბიუჯეტი".**</u>

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უნივერსიტეტის მხრიდან მთავარი ფინანსური დოკუმენტი (ბიუჯეტი) შედგენილ იქნა პანდემიამდე პერიოდში. შესაბამისად, მის არც შემოსავლით და არც ხარჯვით ნაწილში კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული საფრთხეები გათვალისწინებული არ ყოფილა და ბუნებრივია ვერც იქნებოდა. პანდემიის დაწყებისთანავე ჩვენი მხრიდან გადაიხედა ბიუჯეტის შესაძლებლობები, ხოლო საგანგებო მდგომარეობის ამოქმედებიდან აუცილებელი გახდა მოგვემზადებინა ბიუჯეტის ახალი ვარიანტი - ეგრეთ წოდებული ,,კრიზისული ბიუჯეტი", სადაც, პანდემიის ფონზე, გავთვალეთ ის მინიმალური შემოსავალი, რაც საკმარისი იქნებოდა ისეთი ტიპის ხარჯების დასაფინანსებლად, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელი გახლდათ ფუნქციონირებისათვის. ხარჯების კუთხით შევიმუშავეთ ე.წ. ,,დაცული მუხლები", რაც გულისხმობს ხარჯის იმ ნაწილს, რომელიც შემცირებას არ ექვემდებარება. კერძოდ: ხელფასის მოცულობა, სტიპენდიები, საბიუჯეტო გადასახადები, კომუნალური გადასახადები, მოსაკრებლები, პროგრამების სააკრედიტაციო გადასახადი, ლიცენზირების გადასახადები, წიგნადი ფონდი და ელექტრონული ბაზები და სხვა. ამასთან, გაიზარდა ხარჯების მოცულობა პანდემიიდან გამომდინარე საჭირო მასალებსა და აქსესუარებზე. ხოლო ყველა სხვა ტიპის ხარჯები ,,კრიზისულ ბიუჯეტში" შემცირებულ იქნა გონივრულ ფარგლებში. ,,კრიზისული ბიუჯეტი" დამტკიცებულ იქნა წამომადგენლობით საბჭოზე, რომელიც მთელი წლის მანძილზე იმართებოდა ონლაინ სივრცეში. ბიუჯეტის

შესრულების კონტროლს ძალიან ფრთხილად ახორციელებდა საფინანსო სამსახური ადმინისტრაციასთან ერთად. უნივერსიტეტს მთელი წლის განმავლობაში არ დადგომია კრიტიკული მომენტი, ,,დაცულ მუხლებში“ გათვალისწინებული ხარჯების დასაფინანსებლად, უფრო მეტიც - გარკვეული მუხლების (საქონელი და მომსახურება, არაფინანსური აქტივების ზრდა) ეკონომიის ხარჯზე შეძლო თანხების მობილიზაცია ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად.

2. <u>შემუშავდა 2020 წლისათვის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის ვადები.</u>

მოგეხსენებათ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა. კერძოდ, სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის წლის განმავლობაში ოთხ თანაბარ ნაწილად, ყოველ კვარტლურად 562,5 ლარს, 20 სექტემბრის, 20 დეკემბრის, 20 მარტის და 20 მაისის სავადოთი. თითოეული კვარტლის გადახდის ვადის დადგომიდან 15 დღეში სტუდენტს უჩერდება სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო, და ამავდროულად აქვს უფლება მომდევნო 15 დღის განმავლობაში გადაიხადოს გადასახადი და აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი. ამასთან, სტუდენტს შეუძლია გადაიხადოს კვარტლის გადასახადის გარკვეული ნაწილი, ხოლო დარჩენილ თანხაზე ითხოვოს გადავადება კონკრეტული, გონივრული ვადით.

პანდემიის პირობებში, ზემოთაღწერილი საკმაოდ მობილური და ლიბერალური გადახდის პირობები კიდევ უფრო შეღავათიანი გავხადეთ. ჩემს მიერ წარმომადგელობით საბჭოზე გატანილ იქნა საკითხი, რათა სტუდენტებს მისცემოდათ არსებულ ვადებზე დამატებით ერთი თვე გადახდის ვადის გასაგრძელებლად, ხოლო იმ სტუდენტებს, რომლებსაც ჰქონდათ მინიმალური გადახდა, მაქსიმალურად გაგვეწერა დარჩენილი გადასახადის გადახდევინების ვადა. ამ გადაწყვეტილებით ერთის მხრივ, სოციალური ფონის გათვალისწინებით, მოვახერხეთ გარკვეული დოზით სტუდენტების მხარდაჭერა, მეორეს მხრივ კი დაწესებულებისათვის სტუდენტების შენარჩუნება. გარდა ვადების გახანგრძლივებისა, მიმდინარე წელს უნივერსიტეტში, როგორც ჩვენი მხრიდან, ასევე სახელმწიფოს მხრიდან, განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სტუდენტთა მხარდამჭერი პროგრამები.

3. <u>განხორციელდა სტუდენტთა მხარდამჭერი პროგრამები (მათ შორის სოციალური).</u>

უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო ფუნქციასთან ერთად, პანდემიის პირობებში და არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით, მაქსიმალურად მოახერხა სოციალური

ფუნქციის შესრულება, რაც გამოიხატება, პირველ რიგში, სტუდენტთა მიმართ სხვადასხვა სოციალური პროექტების განხორციელებით. მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტის შემოსავლების უდიდესი ნაწილი სტუდენტთა სწავლის საფასურით ივსება, შესაბამისად სტუდენტების შენარჩუნება და მათი წახალისება უნივერსიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნულს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, როდესაც სასწავლო პროცესი პანდემიის პირობებში, ონლაინ ხორციელდება. მიმდინარე წელს სტუდენტებზე ჯამურად გაცემული სტიპენდიის თანხა შეადგენს 550 ათას ლარს, ხოლო ფინანსური დახმარება 125 ათას ლარს. მათ შორის, „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ფინანსური ვალდებულებების (სწავლის ქირის) დასაფარავად დახმარების გაწევის შესახებ“ წესის თანახმად, დაფინანსდა სტუდენტები 60 ათასი ლარით, სტუდენტური თვითმმართველობის მხრიდან შესაბამისი წესის მიხედვით გაწეული დახმარება შეადგენდა 60 ათას ლარს, ხოლო ფულადი დახმარება სტუდენტებზე სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად დაახლოებით 5 ათას ლარს (პანდემიის დაწყებამდე). უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს პროგრამას რეგიონიდან მიღებული სოციალურად დაუცველი სტუდენტების საერთო საცხოვრებელში უფასოდ განთავსებასთან დაკავშირებით, რაც სასიციცხლოდ მნიშვნელოვანია ასეთი სტუდენტების განათლების მიღებისათვის.

2020 წლის განმავლობაში, პანდემიის მიუხედავად, უნივერსიტეტმა განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. მათ შორის აუცილებელია აღინიშნოს:

1. **ავტორიზაციიის მონიტორინგის პროცესისათვის მზადება და შესაბამისი ანგარიშის წარდგენა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე და ავტორიზაციის პროცესის დასრულება.**
2. **ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება.**

ანგარიშში შევეცდები დაწვრილებით მიმოვიხილო ზემოთაღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ ადმინისტრაციის მხრიდან განხორციელებული ღონისძიებები.

1. <u>**ავტორიზაციიის მონიტორინგის პროცესისათვის მზადება და შესაბამისი ანგარიშის წარდგენა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე და ავტორიზაციის პროცესის დასრულება.**</u>

ბუნებრივია, ჩვენი მხრიდან, პირველ რიგში ყურადღება მახვილდება ავტორიზაციიის პროცესით აღებული ვალდებულების შესრულებაზე. მოგეხსენებათ, ავტორიზაციის მონიტორინგის პროცესი უნივერსიტეტისათვის ჩანიშნული იყო 2020 წლისათვის და, ამავდროულად, ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან გაწერილი იყო მონიტორინგის

პროცესისათვის მზადების შემოწმება და შესაბამისი ანგარიშის წარდგენა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, წლის დასაწყისიდან, ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე, დაიწყო განსაკუთრებული მხარდაჭერა ყველა იმ საჭიროებების დასაფინანსებლად (ბუნებრივია არსებული რესურსის ფარგლებში), რაც აუცილებელი იყო ავტორიზაციის მონიტორინგის პროცესის მზადებისათვის. შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო პროცესი, რომელშიდაც საერთო მიზნის მისაღწევად ჩართული იყო საუნივერსიტეტო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, სტრუქტურულმა ერთეულებმა, ფაკულტეტებმა, საბჭოებმა, მნიშვნელოვანი შრომა გასწიეს ავტორიზაციის მონიტორინგის ანგარიშის წარსადგენად. მიმდინარე წელს დასრულდა ის ღონისძიებები (პროექტები), რომელზედაც შესაბამისი რეკომენდაციები გაიცა ავტორიზაციის საბჭოს მიერ ავტორიზაციის პროცესში. პროცესების წარმართვისათვის, პანდემიის კვალდაკვალ, მნიშვნელოვანი იყო რესურსი ისე გადაგვენაწილებინა, რომ არ შესუსტებულიყო ყურადღება სხვა საკითხების (გამოწვევების) მიმართ. მონიტორინგის ანგარიშის მომზადებისას გამოიკვეთა, რომ მაქსიმალურად უნდა გამახვილებულიყო ყურადღება მე-6 სტანდარტთან მიმართებაში, ხოლო დანარჩენ სტანდარტებში უშუალოდ რეკომენდაციებზე მოგვეხდინა რეაგირება. ავტორიზაციის მონიტორინგის პროცესამდე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ როგორც უკვე შექმნილი პოლიტიკების შესრულება-განხორციელება, ასევე რეკომენდაციების გათვალისწინება. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშში აისახოს მე-7 სტანდარტის რეკომენდაციების შესრულება მონიტორინგის პროცესამდე:

ავტორიზაციის ექსპერტების რეკომენდაციას „უზრუნველყავით უწყვეტი ინვესტიციები მატერიალურ რესურსებში“ უნივერსიტეტი ფაქტობრივ უზუსტობად მიიჩნევს, რადგან მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურული პროექტების მწირი დაფინანსებისა, უნივერსიტეტი ახორციელებს უწყვეტ ინვესტირებას მატერიალურ რესურსებში, რაც დასტურდება უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში ხარჯების მოცულობით. კერძოდ, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

ექსპერტების რეკომენდაციის ,,ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ყველა ადგილის ხელმისაწვდომობას“ - მონიტორინგის ანგარიშში აღინიშნა, რომ აწსუ–ს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის.

ადაპტირებული გარემოს ზოგადი სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნით უნივერსიტეტმა ბოლო ექვსი წლის განმავლობაში შეიმუშავა და განახორციელა გეგმა სსსმ

პირების საჭიროებებიდან გამომდინარე შემდეგი თანმიმდევრობით: სსსმ პირთათვის პანდუსების, სველი წერტილების და ლიფტების მოწყობა;

განხორციელებული სამუშაოების გათვალისწინებით საუნივერსიტეტო სივრცეში სსსმ პირთათვის შესაძლებელი გახდა შემდეგი მომსახურების (სერვისების) მიღება: წვდომა სასწავლო აუდიტორიებთან; სსსმ პირის სპეციალობის შესაბამის სპეციფიკაციის ლაბორატორიებთან, კომპიუტერულ კლასებთან, სტუდენტურ სერვისებთან, ბიბლიოთეკასთან, ადმინისტრაციასა და შესაბამის სამსახურებთან.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების განთავსების მიზნით, სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხორციელდება შესაბამისი სტუდენტის სასწავლო პროცესის დაგეგმვა (მათ შორის სხვადასხვა მისამართზე) სრულყოფილი ადაპტირებული გარემოს გამოყენების მიზნით. უკვე განხორციელდა შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტთა სატრანსპოტრო მომსახურეობის შესყიდვა.

დაწესებულებაში განსაზღვრულია აღნიშნული საჭიროებების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შემდგომი მოწყობა-განვითარების გეგმა, რომელიც გულისხმობს ეტაპობრივად სსსმ პირთათვის მეტად ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას, რის შესახებაც გეგმა დამტკიცებულია წარმომადგენლობით საჭოზე. 2020 წელს, გეგმის შესაბამისად, განხორციელდა I, XI, XVIII, XIX კორპუსების სრული შესაბამისობა სსსმ პირთათვის.

ექსპერტების რეკომენდაცია „აწსუ-მ უნდა დანერგოს ფინანსური ანალიზის სისტემა, მომგებიან და ხარჯვით ცენტრებზე შემოსავლებისა და ხარჯების გადანაწილების მიზნით“ საქართველოში არსებული ფინანსური ტერმინოლოგიის გათვალისწინებით ბუნდოვანია. სავარაუდოდ, ის გულისხმობდა უნივერსიტეტში ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანალიზს და შემოსავლებისა და ხარჯების რაციონალურ განაწილებას სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის. გასათვალისწინებელია, რომ საჯარო სექტორის ფინანსური მართვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში ბიუჯეტირების პროცესი მთლიანად ექვემდებარება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიას, რომელიც ფინანსური ანალიზისა და შემოსავალ-გასავლის დადგენის საკითხებსაც არეგულირებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის შემოსავლები დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ფინანსურ რესურსებზე და საკუთარ შემოსავლებზე, რომელთა ხარჯვის სტრუქტურასა და გამოყოფილი ფინანსური რესურსების მოცულობებს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

ექსპერტების რეკომენდაციაზე „ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად განახორციელოს ფინანსურ მართვასა და ანგარიშგებაში შემოსავლიანობის ანალიზის გამჭვირვალობის დემონსტრირება“ - უნივერსიტეტის პოზიცია შემდეგში მდგომარეობდა: ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დოკუმენტში, ზედმიწევნით ზუსტად არის გაწერილი შემოსავლების მართვის პროცესის განხორციელება დაგეგმილი შემოსავლების წყაროების მიხედვით, რაზეც ყოველკვარტლურად ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური ადმინისტრაციის წინაშე წარადგენს შესაბამის ინფორმაციას. აღნიშნული აისახება აწსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოველწლიურ ანგარიშში. ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, გარდა ამისა, არსებული საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად, სათანადო დოკუმენტაცია ეგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო აუდიტის დეპარტამენტს, დადგენილი წესით.

2. <u>ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება.</u>

პანდემიის პირობებში ადმინისტრაციის მხრიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების პროცესს, რამეთუ აღნიშნული ფინანსური გეგმით, გადახდისუნარიანობის შემცირების მიუხედავად, უნდა განხორციელებულიყო (დაფინანსებულიყო) ,,კრიზისულ ბიუჯეტში“ მინიმუმ ე.წ. ,,დაცულ მუხლებში“ განსაზღვრული ხარჯები.

2020 წელს, ისევე როგორც ბოლო წლებში, შეინიშნება გარკვეულ პროგრამებზე სტუდენტების შემცირების ტენდენცია, რაც მოგეხსენებათ პრობლემას უქმნის როგორც პროგრამის, ასევე ფაკულტეტის ფინანსურ სტაბილურობას. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი, ბუნებრივია, პანდემიური მდგომარეობაა, თუმცა სააკრედიტაციო საფასურების მკვეთრი ზრდა აიძულებს ფაკულტეტებს სიფრთხილით მოეკიდონ ასეთი პროგრამების მიმართ სამომავლოდ დაგეგმილ აქტივობებს, კარგად შეისწავლონ ბოლო წლების დინამიკა შესაბამის პროგრამაზე სტუდენტების მიღებასთან მიმართებაში და მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილებები პროგრამის და ფაკულტეტის ინტერესებიდან გამომდინარე ფაკულტეტის ფინანსური რესურსის ფარგლებში. მიუხედავად სტუდენტების გარვეული ნაწილის შემცირების და ქვეყანაში არსებული კორონავირუსული ინფექციის გამო შემოღებული რეგულაციებისა, რაც ბუნებრივია აისახა 2020 წლის შემოსავლის მოცულობაზე, მიმდინარე წელს დავაფინანსეთ ყველა ის აუცილებელი ხარჯი, რომელიც უნივერსიტეტის ,,კრიზისული ბიუჯეტით“ იყო გათვალისწინებული. უნივერსიტეტმა შეინარჩუნა წინა წელს დატვირთვის

შესაბამისად აკადემიურ პერსონალზე გაზრდილი ხელფასის მოცულობა, ამავდროულად, გარკვეულწილად გაამკაცრა რეგულაცია სტუდენტთა ჯგუფების ფორმირებასთან (აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება) დაკავშირებით. გარე ფაქტორებისა და რეგულაციების, ამავდრულად სტუდენტთა ნაკადის, მათი გადახდის შესაძლებლობებისა და სტუდენტთა პროგრამული დაფინანსების ვადებში ვერ მიღების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია საბჭოებთან შეთანხმებით მაქსიმალურად ითვალისწინებდა და მომავალშიც გაითვალისწინებს და დააზღვევს ზემოთაღნიშნულ რისკებს, ფინანსური გეგმის (ბიუჯეტის) სწორი განაწილებით და რაციონალური ხარჯვით, რამეთუ უნივერსიტეტის ფინანსური სტაბილურობა არის მთავარი ამოსავალი მისი შემდგომი განვითარებისათვის.

გამოწვევების ფონზე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია შევაჯამოთ 2020 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი (ბიუჯეტი) და მისი შესრულების პროცესი, რადგან საუბარი ეხება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშს.

2020 წელს ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულება, ისევე როგორც წინა წელს, განხორციელდა სსიპ-ის რეალობაში. სამწუხაროდ, ონლაინ ცხოვრებამ კიდევ უფრო გაართულა პროცედურები და რეგულაციები. აღნიშნულის მიუხედავად, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ახდენს ლავირებას ფინანსური გეგმის სრულყოფილად შექმნის მიზნით, ამასთან ითვალისწინებს ყველა შესაძლებლობას, თავისებურებასა თუ სირთულეს, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის ფორმირებასთანაა დაკავშირებული.

უპირველეს ყოვლისა, ყოველწლიურად უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასწავლო წელი არ ემთხვევა ფინანსურ (საგადასახადო) წელს, რაც გარკვეულწილად ართულებს დაგეგმილი ბიუჯეტის სიზუსტის ხარისხს, ამავდროულად იძლევა საშუალებას პროგნოზირებული შემოსავლის მიღების შესაბამისად (ფინანსური წლის მიმდინარეობისას), დააფინანსოს გასაწევი ხარჯების შესაბამისი მოცულობა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ 2020 წლის ბიუჯეტის, ისევე როგორც წინა პერიოდებში, პარამეტრების განსაზღვრა მოხდა დაგეგმვის ზოგადი პრინციპების, სსიპ-ის რეგულაციებისა და წინა წლების ბიუჯეტების დაგეგმვა-შესრულების გამოცდილების გათვალისწინებით.

2020 წლის ბიუჯეტის პარამეტრების განსაზღვრა საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად დაიწყო ჯერ კიდევ 2019 წლის აგვისტოს თვეში, როდესაც, საბიუჯეტო

კანონმდებლობის შესაბამისად, ბიუჯეტის პირველადი პროექტის გადაგზავნა განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, დადგენილი წესით. 2020 წლის დასაწყისში კი, აწსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად, საბოლოოდ მოხდა საბიუჯეტო პარამეტრების დაზუსტება. კერძოდ, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის განსაზღვრის მიზნით დაზუსტდა 2019-2020 სასწავლო წლის აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა და განისაზღვრა 2020-2021 წლებში მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტი. აღნიშნული ინფორმაციით შესაძლებელი გახდა 2020 წელს სემესტრების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობის დაზუსტება და შესაბამისი სავარაუდო შემოსავლის განსაზღვრა ფასიანი სწავლებიდან. იგივე პრინციპით დაიგეგმა სტუდენტთა მიერ მოპოვებული სახელმწიფო ვაუჩერითა და პროგრამული დაფინანსებით მისაღები თანხა, ამასთან დაზუსტდა სამეცნიერო (მათ შორის საერთაშორისო) გრანტების და სახელმწიფო სტიპენდიის მოცულობა, ხოლო სხვა შემოსავლების დაგეგმვა განხორციელდა არსებული და 2020 წლისათვის დაგეგმილი სხვა ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მისაღები შემოსავლების მიხედვით. საბოლოო ჯამში, 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა დასრულდა 2020 წლის იანვრის მეორე ნახევარში, სადაც ასახული იყო ყველა იმ შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, რომელიც შეიძლებოდა მიეღო 2020 წელს ორგანიზაციას.

ანგარიშის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ დაგეგმილი ბიუჯეტის შესრულების პროცესი პრაქტიკულად დაწყებული არ იყო, რომ უნივერსიტეტს პანდემიიდან გამომდინარე მოუხდა პროცესების ონლაინ სივრცეში გადატანა და, შესაბამისად, ,,კრიზისული ბიუჯეტის“ შემუშავება. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვახორციელეთ ,,კრიზისული ბიუჯეტის“ ადმინისტრირება და შესრულება.

2020 წელი აწსუ-სათვის, ვფიქრობ, იყო ურთულესი, ისევე როგორც ქვეყნისათვის და მთლიანად მსოფლიოსათვის. უნივერსიტეტმა, პირველ რიგში, პანდემიიდან გამომდინარე, დაკარგა ადამიანები, რაც არის ყველაზე რთული და მტკივნეული საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის.

2020 წელს მსოფლიოში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, უნივერსიტეტმა მოახდინა სწრაფი ადაპტირება არსებულ რეალობასთან და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ონლაინ სივრცეში პროცესების წარმართვისა და განვითარებისათვის, ამასთან ღირსეულად მიიღო გამოწვევები, დაძლია და კვლავაც აგრძელებს დინამიურ განვითარებას.